ა (ა) ი.პ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2021-2022 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი'' 2007 წლის 20 სექტემბერს დააფუძნა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მუშაობაში ხელმძღვანელობს ,,საქართველოს კონსტიტუციით,,საქართველოს,სამოქალაქო კოდექსით'',საქართველოს მთავრობის დადგენილებით,,ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ''.საქართველოს კანონით,,ზოგადი განათლების შესახებ'',ამ წესდებითა და საქართველოს სხვა მოქმედ კანონმდებლობათა შესაბამისად.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესდების შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიზნები და ამოცანები:

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სასწავლო შემოქმედებით საქმიანობაში

2. სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის პროპაგანდა კულტურის,ისტორიის და ლიტერატურის გაცნობა,დამკვიდრება მოზარდ თაობაში.

3.საგნობრივი წრეების,ხელოვნების საფუძვლების,ფოლკლორული

მემკვიდრეობის გაცნობა და შესწავლა.

4.,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში“ სამეცნიერო სასწავლო უნარ-ჩვევების

გამომუშავება,ეროვნულ პატრიოტულ სულის გაღვივება და ჩამოყალიბება.

რომელთა შესრულება წარმოადგენს ჩვენი დაწესებულების მუშაობის ორიენტირს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში 8 წრე ფუნქციონირებს:

1. ფანდურის შემსწავლელი წრე. -20 ბავშვი
2. მხარეთმცოდნეობის წრე .- 10 ბავშვი
3. ლიტერატურულ-დრამატული წრე.- 20 ბავშვი
4. ინგლისურის შემსწავლელი წრე.- 29 ბავშვი
5. საესტრადო სიმრერების წრე ,,ანა-ბანა"- 14 ბავშვი
6. ქორეოგრაფიული წრე ,,ილინე" -58 ბავშვი
7. ჭადრაკის წრე -16 ბავშვი
8. კომპიუტერის წრე -7

ყველა წრეში დასწრება ნორმალურია.

2022 სასწავლო წელს ა(ა) ი.პ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მუშაობის ძირითად ორიენტირს წარმოადგენდა მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის აქტიური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებისა და არაფორმალურ განათლებაში ჩართვის მიმართულებით.ეს ამოცანა 2022-2023 სასწავლო წელსაც პრიორიტეტად რჩება.ჩვენს კოლექტივს კარგად აქვს გაცნობიერებული,რომ მოსწავლეთა სახლის მუშაობის მოქნილი სტრუქტურა მოზარდების მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს მიმართული.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ადმინისტრაცია და წრის ხელმძღვანელები მუშაობას წარმართავენ წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმების შესაბამისად,რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო,სასწავლო წლის მანძილზე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე რეგულარულად იხილება საკითხები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

I-სემესტრის თემატური გეგმები 6 სექტემბერს იქნა დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ.(მშობლები ინფორმირებულები არიან სასწავლო გეგმების შესახე),რომელსაც მშობელთა კრებაზე ეცნობიან) ხოლო შემდგომ,ეტაპობრივად ხდება მისი

შესრულების მონიტორინგი. ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს დაგროვილი საინტერესო გამოცდილება,რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება მასწავლებლებს უკეთესად წარმართონ სასწავლო პროცესი.წრის ხელმძღვანელებად მუშაობენ უმაღლესი და სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შემოქმედებით და შემეცნებით წრეებს ხელმძღვანელობენ 5 უმაღლესი და 3 საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი.

წრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ჩართულობას არაფორმალურ განათლებაში.ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნულ სასახლესთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ამავე სასახლეში,სხვა და სხვა ღონისძიებებზე გამოცდილების ურთიერთ გაცვლა.მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ბავშთა ჩართულობის მხარდასაჭერად ძალიან მნიშვნელოვანია.მაგალითად შემოქმედებით წრეებში ჩართული ბავშვები გათავისუფლებული არიან სწავლის გადასახადებისგან.ამან საგრძნობლად გაზარდა ამ წრეებში ბავშვთა რაოდენობა.ისინი უფასოდ სწავლობენ ფანდურზე,ჩონგურზე,სალამურზე დაკვრას,ხალხურ მრავალხმიან სიმღერებს-რაჭულ,გურულ,მეგრულ და სხვა კუთხეების ფოლკლორულ ნიმუშებს.ასევე ქართულ ცეკვებს.

წრის ხელმძღვანელთა თანმიმდევრული მუშაობის შედეგია ის ,რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი და შემეცნებითი წრეების აღსაზრდელები აქტიურად არიან ჩართული როგორც სარაიონო,ასევე ქვეყნის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში.მაგალითად:ახლად შექმნილმა ცეკვის ანსამბლა,,ილინემ“ მონაწილეობა მიიღო ქ.ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ცეკვების ფესტივალზე, ,,მომავალი ჩვენია“, სადაც ლაურიატის დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე ჩარიცხულია 173 ბავშვი,რომლებიც გადანაწილებული არიან რვა სხვა და სხვა შემოქმედებით და შემეცნებით წრეებში.

1. ანსამბლი ,,ანა-ბანა'' მ. ლობჯანიძე (საშ.სპეციალური)
2. ლიტერატურუანსამბლი,,ანა-ბანა“. ლ დრამატული წრე. ხელმძღვანელი: ლ.ჩიხრაძე(უმაღლესი)
3. მხარეთმცოდნეობის წრე. ხელმძღვანელი: გ.ბერიშვილი(უმაღლესი)
4. ჭადრაკის წრე.ხელმძღვანელი: ზ.ბერიშვილი (უმაღლესი)
5. ფანდურის წრე. ხელმძღვანელი: თ.ხუციშვილი (საშ.სპეციალური)
6. ინგლისურის წრე. ხელმძღვანელი: თ.პეტრიაშვილი(უმაღლესი)

7. ქორეოგრაფიული წრე.ხელმძღვანელი:ვ. მიქიაშვილი(საშ.სპეციალური)
8. კომპიუტერის წრე.ხელმძღვანელი: ნ. გაგნიძე (პროგრამისტი)

წრის ხელმძღვანელებმა,სასწავლო წლის დაწყებამდე მოამზადეს წრეების სამუშაო თემატური გეგმები,რომელიც დამტკიცებული იქნა 2022-2023 სასწავლო წლის პირველ პედსაბჭოს სხდომაზე.შემუშავდა მეცადინეობების ჩატარების გრაფიკი.სისტემატიურად მიმდინარეობდა და მიმდინარე სასწავლო წელსაც გაგრძელდება წრეების მუშაობის მონიტორინგი.

ნაყოფიერია პედაგოგიური საბჭოს მუშაობა.სხდომები ტარდება რეგულარულად,სადაც იხილება გეგმით გათვალისწინებული საკითხები,რომელიც შეეხება,როგორც სასწავლო სააღმზრდელო პროცესების მართვას,ასევე ორგანიზაციის შემდგომი განვითარების მიმართულებით დასმული საკითხების მოგვარებას.პედაგოგთა ურთიერთგამოცდილების გაზიარებას ღია მეცადინეობების დაგეგმვისა და ჩატარების მეშვეობით.

სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარდა 3 პედაგოგიური საბჭოს სხდომა სადაც წრის ხელმძღვანელები მსჯელობდნენ არაფორმალური განათლების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.სასწავლო პროცესი ახლებურად გააზრებული პროგრამებით დავიწყეთ.სასწავლო წლის დაწყებამდე შემოტანილი,დამუშავებული და დასაწყობებული იქნა საშეშე მერქანი.საკანცელარიო და სადეზინფექციო საშუალებები.მოწესრიგდა სამეცადინო ოთახები.სასწავლო წელი შეძლებისდაგვარად ორგანიზებულად დავიწყეთ: ნოემბრის თვეში ჩატარდა პოეზიის საღამო,სადაც ლიტერატურულ-დრამატული წრის ბავშვებმა წარმოადგინეს ქართული პოეტების ლექსები.ჩატარდა მშობელთა კრება.

საახალწლო ზეიმმა ძალიან გაახარა ჩვენი ბავშვები და არა მარტო ჩვენი ბავშვები.

მოწვეულმა სტუმრებმაც ძალიან ისიამოვნეს და ბოლოს ყველას დაურიგდა საახალწლო საჩუქრები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში II- სემესტრი, არდადაგების შემდეგ 16 იანვარს ქართული თეატრის დღის აღნიშვნით დავიწყეთ. ლიტერატურულ-დრამატულ წრეში გამოუშვეს კედლის გაზეთი.

8 თებერვალს მხარეთმცოდნეობის წრეში ტრადიციული სემინარი ჩატარდა,რომელიც უნივერსიტეტის დაარსების ისტორიას და დავით აღმაშენებლის ღვაწლს მიეძღვნა.

8 მარტის დღის აღნიშვნა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ზეიმით აღინიშნა,მოწვეული გვყავდა ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი:(ნ.ბაკურაძე.)მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სახელით მადლობა გადავუხადეთ პანდემიის პირობებში გაწეული თავდაუზოგავი მუშაობისათვის.

22 მარტს ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურულ-დრამატულ წრეში ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი.(ხელმძღვანელი:ლ ჩიხრაძე),რომელიც დიდი ქართველი პოეტის, მურმან ლებანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა.კონკურსის დამთვარების შემდეგ ყველა მონაწილეს გადაეცა საჩუქარი.

9 აპრილს ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ხსოვნის დღე.მიმოხილვა ჩაატარა ნ.გავაშელმა.

ბავშვებმა პატივი მიაგეს დაღუპულ გმირებს და შემოქმედებითმა წრეებმა წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება.

15 აპრილს ლიტერატურულ წრეში აღნიშნეს დედაენის დღე ,,ქართველი პოეტები,დედაენის შესახებ’.’ ბავშვებმა წაიკითხეს პოეტების ლექსები,ისაუბრეს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობაზე,მის მიერ შექმნილ დედაენაზე.

6 მაისს ონის მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლში ევროპულ დღეებთან დაკავშირებით მხარეთმცოდნეობის წრეში ჩატარდა ღია გაკვეთილი,სადაც წრის ხელმძღვანელმა: გ. ბერიშვილმა ისაუბრა ევროპული დღეების მნიშვნელობაზე.(ევროპელი მოგზაურები რაჭის შესახებ).ეს იყო თემა ღია გაკვეთილის,მან აგრეთვე წარმოადგინა უამრავი ფოტო მასალა.

9 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა და თანამშრომლებმა ყვავილებით შეამკეს სამამულო ომში ონიდან წასული გმირი ჯარისკაცების ძეგლები,ასევე 10 მაისს ჩატარდა 9 მაისისადმი მიძღვნილი სარაიონო ღონისძიება ,სადაც ბავშვებმა წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება.

25 მაისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა გ. ბერიშვილმა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ნ. გავაშელმა, ბავშვებთან ისაუბრეს ამ დღის ისტორიულ მნიშვნელობაზე .ამის შემდეგ შემოქმედებითმა წრეებმა გამართეს ზეიმი.

26 მაისს ამბროლაურში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისისადმი მიძღვნილი რეგიონალური საზეიმო კონცერტი,სადაც ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქორეოგრაფიული წრის ბავშვებმა წარმოადგინეს ქართული ცეკვების პოპური და ფანდურის წრის ბავშვებმა შეასრულეს პატრიოტული სიმღერები.

27 მაისს მხარეთმცოდნეობის წრის ბავშვები გაემგზავრნენ ცაგერის მუნიციპალიტეტში ექსკურსიაზე.მოინახულეს ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ლ.ასათიანის სახლ-მუზეუმი სოფელ ბარდნალაში და მწვანე თეატრი.

1 ივნისი, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ზეიმი, ღია ცის ქვეშ აღინიშნა, სადაც მონაწილეობა მიიღოს ყველა შემოქმედებითმა წრემ.

29 ივნისს გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საანგარიშო კონცერტი, ონის კულტურის ცენტრში,სადაც შემოქმედებითმა წრეებმა მთელი წლის ნამუშევარი წარმოადგინეს.

4-5 ივლისს ქორეოგრაფიული წრის ბავშვები იმყოფებოდნენ ქობულეთში მონაწილეობის მისაღებად ფესტივალზე, „მომავალი ჩვენია“.ბავშვებმა, ლაურიანტის წოდება და დიპლომები დაიმსახურეს.

ახალი სასწავლო წელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პედაგოგიური საბჭოს სხდომის გამართვით დაიწყო,სადაც განხილული და დამტკიცებული იქნა 2022-2023 სასწავლო წლის სამუშაო გეგმები.ახალი სასწავლო წლიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დაგვემატა ინგლისურის შემსწავლელი წრე,რამაც გამოიწვია ბავშვთა მატება და არა მარტო ინგლისურში წრეში.ყველა წრეში მოიმატა ბავშვთა რაოდენობამ და დღეის მდგომარეობით ჩვენთან ირიცხება 173 ბავშვი.

ოქტომბრის თვე როგორც ვიცით გამოცხადებულია დიდი ქართველი პოეტის მურმან ლებანიძის წლად.ამ პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ჩაატარა ლიტერატურული საღამო,სადაც ყველა შემოქმედებითმა წრეებმა მიიღო მონაწილეობა.

ოქტომბრის თვეში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქორეოგრაფიული წრის ანსამბლმა ,,ილინემ'' მონაწილეობა მიიღო ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ფესტივალში ,,მომავალი ჩვენია'' სადაც ლაურიატის დიპლომები და ბულგარეთში ბავშვთა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის საგზური მოიპოვეს,რომელიც ბულგარეთში 5 ივლისიდან 12 ივლისამდე ჩატარდება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა ინტენსიურად დაიწყო მუშაობა.

2022 წელში ჩასატარებელი დაფინანსებული და დაგეგმილი პროექტები ყველა გრაფიკის შესაბამისად ჩატარდა.

ა(ა)იპ. ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის 2022 წლის დაგეგმილი
კალენდარული გეგმა

	ღონისძიებების დასახელება	ჩატარების დრო	ტრანსპორტის ხარჯები	სასტუმროს ხარჯები ღამის თევა ,კვება	სხვა საჭირო მასალები და მომსახურეობა	მონაწილეთა რაოდენობა	საპრიზო ფონდი და საჩუქრები	საწევრო შენატანი	ჩატარების ადგილი	სულ თანხა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	კალიგრაფიის კონკურსი	17თებერვალი			20	15	22		ონი	60
2	ქალთა და დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი	3-8მარტი			50	20	150		ონი	200
3	ბავშვთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა	1 ივნისი			150	30			ონი	150

4	ექსკუსია ცაგერი	მაისი	350			12			ცაგერი	350
5	ექსკურსია გონა, ღები, თევრეშო	ივნისი	300			12			ღები	300
6	საანგარიშო კონცერტი	23 ივნისი			150	40			ონი	150
7	ფოლკლორული ფესტივალი "2022"	5-12ივლისი	650			20			ქობულეთი	650
8	საშემოდგომო კონცერტი	18 ნოემბერი			100	30			ონი	100
9	საახალწლო ზეიმი	27 დეკემბერი			200	45	400		ონი	600
სულ			1300	0	670		590	0		2560

ა(ა)ი.პ. ,ოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის 2022 წლის სამუშაო გეგმა

#	სამუშაო გეგმა	ჩატარების თარიღი	ხელმძღვანელი	წრის დასახელება	თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	ქართული თეატრის დღე	14 იანვარი	ლალი ჩიხრაძე	ლიტერატურული დრამატული წრე		

2	ნინოობა	27 იანვარი	ნ.გავაშელი	ყველა წრე		
3	პედსაბჭოს სხდომა	29 იანვარი	ნ.გავაშელი	ყველა წრე		
4	დავით აღმაშენებლის ხსენების დღე	8 თებერვალი	გ. ბერიშვილი	მხარეთმცოდნეობის წრე		
5	პოეზიის საღამო	18 თებერვალი	ლ. ჩიხრაძე	ყველა წრე	50	
6	ღია გაკვეთილი	21 თებერვალი	ნ. მეტრეველი	მათემატიკის წრე		
7	მშობელთა კრება	28 თებერვალი	ნ. გავაშელი	ყველა წრე		
8	ქალთა და დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი	3 -8 მარტი	ლ.ჩიხრაძე,ი. ჯაფარიძე,თ. ხუციშვილი,მ. ლობჯანიძე	ყველა შემოქმედებითი წრე	150	
9	მეცადინეობებზე დასწრება	თვეში ერთხელ	ნ.გავაშელი	ყველა წრე		
10	ღია გაკვეთილი	27 მარტი	თ. ხუციშვილი	ფანდურის წრე		
11	9 აპრილის აღნიშვნა	9 აპრილი	ნ. გავაშელი	ყველა წრე		
12	დედა ენის დღის აღნიშვნა	15 აპრილი	ლ.ჩიხრაძე	ლიტერატურულ დრამატული წრე		
13	დედამიწის დღე/ ჩვენ გვინდა სუფთა	22 აპრილი	ნ.გავაშელი	ყველა წრე		

	ქალაქი/					
14	სპექტაკლის ჩვენება	27 აპრილი	ნ. გავაშელი	ყველა წრე	500	
15	ღია გაკვეთილი	30 აპრილი	ი. ჯაფარიძე	ანსამბლი :ბიჭუნეები“		
16	9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ზეიმი	9 მაისი	ლ. ჩიხრაძე,ი. ჯაფარიძე,მ. ლობჯანიძე, თ.ხუციშვილი	ყველა წრე		
17	ექსკურსია სათაფლიასა და პრომეთეში	10-15 მაისი	გ. ბერიშვილი	მხარეთმცოდნეობის წრე	300	
18	ღია გაკვეთილი	20 მაისი	ნ. მეტრეველი	ინგლისურის წრე		
19	26 მაისის დღესასწაული	26 მაისი	ნ. გავაშელი	შემოქმედებითი წრეები		
20	ბავშვთა მსოფლიო დღის აღნიშვნა	1 ივნისი	ლ. ჩიხრაძე, მ. ლობჯანიძე, თ ხუციშვილი, ი. ჯაფარიძე	შემოქმედებითი წრეები	100	
21	ექსკურსია ექსპედიცია შქმერის მღვიმეში	14 ივნისი	გ.ბერიშვილი	მხარეთმცოდნეობის წრე	250	
22	ლიტერატურული წარმოდგენა	18 ივნისი	ლ. ჩიხრაძე	ლიტერატურული დრამატული წრე,	50	

	„საქართველო“					
23	საანგარიშო კონცერტი	18-25ივნისი	ლ. ჩიხრაძე,ი. ჯაფარიძე,თ. ხუციშვილი,მ. ლობჯანიძე	ყველა შემოქმედებითი წრე	100	
24	პედსაბჭოს სხდომა	30 ივნისი	ნ.გავაშელი	ყველა შემოქმედებითი წრე		
25	ფოლკლორული „ ფესტივალი 2020“	5 -12 ივლისი	მ. ლობჯანიძე ი.ჯაფარიძე, თ. ხუციშვილი,	ყველა შემოქმედებითი წრე	2500	
26	ბავშვთა საჭადრაკო ფესტივალი „რაჭა-2019“	3-10 აგვისტო	გ. ბერიშვილი	ჭადრაკის წრე	810	
27	ონელობის დღესასწაული	7-8 აგვისტო	ნ.გავაშელი	ყველა შემოქმედებითი წრე		
28	პედსაბჭოს სხდომა	6 სექტემბერი	ნ.გავაშელი	ყველა წრე		
29	პოეზიის საღამო„შემოსულა შემოდგომა“	29 ოქტომბერი	ლ.ჩიხრაძე	ლიტერატურული დრამატული წრე,		
30	მშობელთა კრება	4 ნოემბერი	ნ.გავაშელი	ყველა წრე		
31	ღია გაკვეთილი	27 ნოემბერი	მ.ლობჯანიძე	ანა-ბანას წრე		
32	ღია გაკვეთილი	15 დეკემბერი	გ. ბერიშვილი	ჭადრაკის წრე		
33	საახალწლო ზეიმი	24 დეკემბერი	ლ.ჩიხრაძე,ი. ჯაფარიძე,თ.	ყველა წრე	400	

			ხუციშვილი,მ. ლობჯანიძე			
	სულ					5210

1.პედაგოგიური საბჭოს მუშაობა 2021-2022 წწ

	პედაგოგიური თათბირები	შესრულების დრო	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი
I	**1სხდომა** ა.სასწავლო წლის დაწყების მდგომარეობის შესახებ ბ..შემოქმედებითი და საგანმანათლებლო წრეების თემატური გეგმების დამტკიცების შესახებ გ. ღია მეცადინეობის ჩატარების გეგმის გრაფიკის დამტკიცების შესახებ დ.მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წლიური სამუშაოების გეგმის დამტკიცების შესახებ **II სხდომა** ა.სასწავლო წლის პირველი ნახევარის შედეგები და სასწავლო წლის მეორე ნახევარის ამოცანების შესახებ ბ. საგანმანათლებლო წრეების	სექტემბერი	ი.გავაშელი

	ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა თემატური გეგმების შესრულების თაობაზე გ. 2022 წლის ბიუჯეტის განხილვა **III სხდომა** 2021-2022 სასწავლო წრის შედეგები და მომავალი სასწავლო წრის ამოცანები **სამეურნეო მუშაობა** **ა**.ორგანიზაციის გაფართოების შემთხვევაში სამეცადინო ოთახების გარემონტება და წრეობრივი მუშაობისათვის სასურველი გარემოს შექმნა **ბ**.ზამთრის თბობის შეზონისათვის მზადება ღუმელების და კვამლსადენის მოწესრიგება შეშის მოტანა და დაბინავება **გ.**შემოსავლების შემოტანის მონიტორინგი დ.სხვადასხვა მიმდინარე საქმიანობის ოპერატიული მოწესრიგება **დ**.ბიუჯეტის თვალის მიდევნება და გათვალისწინებული აქტივობების შესრულება, მითითებული ვადების	იანვარი ივნისი ივნისი მთელი წლის	ნ. გავაშელი წრის ხელმძღვანელები ნ.გავაშელი ნ. გავაშელი ნ. გავაშელი

	ზუსტი დაცვით. ე.ქვეპროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობა. ვ.მუშა-მოსამსახურეების მიერ შრომის დისციპლინის დაცვაზე სისტემატიური მონიტორინგი. ზ.ბავშვთა უსაფრთხოებაზე სისტემატიური ზრუნვა.	განმავლობაში	ნ. გავაშელი

2. მშობლებთან მუშაობა

მშობელთა პედაგოგიზაციისთვის საკითხების დაგეგმვა, გარდატეხის პერიოდზე სასაუბროდ მოვიწვიოთ ფსიქოლოგი, ჩავატაროთ ნარკომანიასთან, კომპიუტერზე დამოკიდებულებასან საუბრები, ვიდეომასალის ჩვენება, მოსწავლეთა სახლის მუშაობასთან დაკავშირებით საუბრები, რა მნიშვნელობა აქვს არაფორმალურ განათლებას ბავშვებისათის დროს ორგანიზებულად დაგეგმვის ხელშესაწყობად და ბევრი სხვა საინტერესო საკითხე

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ შემოქმედებით და შემეცნებით წრეებში ბავშვების თვითრეალიზებას სხვადასხვა მიმართულებით.ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკურ აღზრდას,.შემოქმედებითი უნარ ჩვევების ჩამოყალიბებას, ანალიტიკური უნარ ჩვევების განვითარებას, საქართველოს და რელიგიის ისტორიის შესწავლას.

მიუხედავ გაწეული მუშაობისა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ძალზე მწირია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ,გვესაჭიროება ლეპტოპი, გახმოვანების აპარატურა,შესაცვლელია ინვენტარი.ფართობი არასაკმარისია.კეთილმოსაწყობია ეზო,სადაც გადის საკანალიზაციო არხი, დასამონტაჟებელია საკვამლე მილები,გადასატიხრია ცეკვის წრის დარბაზში შესასვლელი დერეფანი,სადაც საჭიროა მოეწყოს ბავშვთა გასახდელი.

საჭიროა ცეკვის წრის ბავშვებს შევუძინოთ 4 ცეკვისათვის მაინც ფორმები,რაც მრავალფეროვანს გახდის მოსწავლეთა სახლის მიერ მოწყობილ ბავშთა საჯარო გამოსვლებს.ისიც უნდა აღინიშნოს,რომ ჩვენი ბავშვები აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალურ ღონისძიებებში და მათი ლამაზად შემოსვა,გაცილებით უფრო ეფექტურს გახდის ღონისძიებას,რაც გასათვალისწინებელია.ბავშვები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალებში.მათი სათანადოდ ჩაცმულობა მუნიციპალიტეტისგარეთ, მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვებზე ზრუნვის მნიშვნელოვან მაგალითად იქნება აღქმული,მითუმეტეს,როცა ეს ზრუნვა იგრძნობა ჩვენი დაწესებულების მიმართ.

2022 წელს გამოყოფილი იყო სუფსიდია 54000 ლარი.

საკუთარი შემოსავლის გეგმა იყო 5440 ლარი.

2022 წელს სუფსიდია მიღებული იყო 53416 ლარი,გაიხარჯა 53416 ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან შემოსულობები იყო 5569 ლარი,აქედან გაიხარჯა 3945 ლარი. სუფსიდიიდან შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა 36740 ლარი.

კულტურულ ღონისძიებებში 2460 ლარი.

სხვა საქანონელსა და მომსახურებაში 14216 ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაში გაიხარჯა 1882 ლარი.

სხვა საქონელსა და მომსახურებაში 2063 ლარი,სულ 3945 ლარი

ანალიზი:

2021 წელს სუფსიდია გეგმით იყო 43400 ლარი,აქედან მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება 27000 ლარი

კულტურული ღონისძიებები 1250 ლარი,სხვა საქონელსა და მომსახურებაში 11619 ლარი.

საკუთარი შემოსავალი იყო 238 ლარი.

აქედან გაიხარჯა სხვა საქონელსა და მომსახურებაში 89 ლარი

იმისათვის რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სრულყოფილად წარიმართოს შემოქმედებითი , შემეცნებითი და საგნობრივი წრეების მუშაობა, საჭიროა იმ პრობლემების ჩამონათვალის აღმოფხვრა რომელიც ზემოთ იყო მოხსენებული.